

## კონკურსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად, აცხადებს ღია კონკურს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.

1. განცხადების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები:

ა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებისათვის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყება მიმდინარე წლის 27 ნოემბერს და დასრულდება 3 დეკემბერს.

ბ. საბუთები მიიღება: I კორპუსი, ოთახი N 525 (11-16 სთ);

გ. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდება 2015 წლის 10 დეკემბერს.

2. საკონკურსო პირობები:

ა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს წევრ პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს;

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა პირადად უნდა წარმოადგინონ:

ა. ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;

ბ. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის /პასპორტის) ასლი;

გ. სამოქმედო პროგრამა.